დანართი 13

შპს უსაფრთხოების აკადემია

<u>დამტკიცებულია:</u>

კოლეჯის საბჭოს თავმჯდომარე:

დავით მაზმიშვილი

08/02/ 2024 წ.

იურიდიული სამსახურის დებულება

თბილისი 2024

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. კოლეჯის შპს „უსაფრთხოების აკადემია“ (შემდგომში - კოლეჯი) იურიდიული სამსახური (შემდგომში - სამსახური) წარმოადგენს კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, კოლეჯის დებულებით, წინამდებარე დებულებით და კოლეჯის სხვა ნორმატიული აქტებით.

1.2. სამსახური ანგარიშვალდებულია კოლეჯის რექტორის წინაშე.

მუხლი 2. სამსახურის მიზანი, ამოცანა და ფუნქციები

2.1. სამსახურის მიზანია კოლეჯის ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო ფუნქციის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

2.2. სამსახურის ამოცანაა კოლეჯში მოქმედი ნორმატიული ბაზისა და სხვა დოკუმენტაციის სახელმწიფო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

2.3. სამსახურის ფუნქციები:

2.3.1. კოლეჯის სამართლებრივი და ადმინისტრაციული აქტების შემუშავებაში მონაწილეობა, მათზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება;

2.3.2. კოლეჯის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

2.3.3. კოლეჯის მხრიდან დასადები ხელშეკრულებების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობა;

2.3.4. კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;

2.3.5. კოლეჯის წარმომადგენლობა და მისი ინტერესების დაცვა სახელმწიფო, კერძო დაწესებულებებსა და სასამართლოში;

2.3.6. კომპეტენციის ფარგლებში შემოსული განცხადებების განხილვა/განხილვაში მონაწილეობა და შესაბამისი პასუხების მომზადება/მომზადებაში მონაწილეობა;

მუხლი 3. სამსახურის ხელმძღვანელობა

3.1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს/ათავისუფლებს რექტორი.

3.2. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.

3.3. სამსახურის უფროსი:

3.3.1. წარმართავს სამსახურის საქმიანობას;

3.3.2. უზრუნველყოფს კოლეჯის სამართლებრივი აქტებისა და სხვა დოკუმენტაციის სამართლებრივ გამართულობას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში;

3.3.3. წარუდგენს რექტორს სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის წლიურ ანგარიშს;

3.3.4. ახდენს სტუდენტებისა და თანამშრომლების უფასო იურიდიულ კონსულტირებას კოლეჯის საგანმანათლებლო და შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებზე;

3.3.5. კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს წინამდებარე დებულებით, კოლეჯის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

4.1. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება კოლეჯის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

5.1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სამსახურის ხელმძღვანელის მიერ მომზადებული ცვლილება-დამატებების პროექტის წარდგენითა და კოლეჯის საბჭოს მხრიდან გახილვისა და დამტკიცების გზით.